



**№ 42 — 1916** ფ ა ს ი  
 კვირა, 16 ღვინობის 12 კახ.

**ქურნალი „თეატრი და სხოპრება“**  
 წლიურად 5 მ, ნახევარი წლით 3 მ. გაწერა შეიძლე-  
 ბა ფოსტით: Тифლისь, Ред. „Театри да Цховреба“.  
 Тос. Имедашвили. პირისპირ: „სორაპნი“-ს სტამბაში

წელ. მელთხე  
 ბაგოცემის



ვალერიან გუნია  
 ალ. არაბიძის მიერ გ. გუნის საიუბილეოდ  
 პეტროგრადში გამოცემულ სურათიდან.

**შინაარსი:**

- 1, მეთაური — გაყინული სელოგნება . . . . . 2
- 2, ს. აბაშელი — ზღვას შირად . . . . . »
- 3, ივ. გომართელი — ჩუენი ვალიკო . . . . . 3
- 4, გ. ქუჩიშვილი — ჩუენ . . . . . 4
- 5, მ. ბოჭორიშვილი — რა შენაღულება? . . . . . 5
- 6, ვ. შინატეხელი — სანუარი . . . . . 6
- 7, ლ. ძიძიგური — ილია და მთაული . . . . . »
- 8, შალვა დადიანი — დუსე . . . . . 7
- 9, დ. ახვლედიანი — ერთხელ გისაღე . . . . . »
- 10, ს. წეველი — სიკვდილ-სიცოცხლის დიალოგი . . . . . »
- 11, კ. ძიძაძე — ეჭვ, რა ვიტოდი . . . . . »
- 12, — — — ივ. წუწუნავა . . . . . »
- 13, მ. ჯანაშვილი — ლეკან ბატონიშვილი . . . . . 10
- 14, ნ. ელიაშვილი — იძულებულნი . . . . . 11
- 15, ა. ფანცულაა — წმინდა სელოგნება — 13
- 16, სახიობა, წვრილი ამბები . . . . . »
- 17, სურათები: თბილისის დრ. დასო, რეჟებ  
 ბებ ნიჭარაძე, გ. გუნია, ევ წუწუნავა . . . . . »



### ღვინობისთვის 16

**გაყინული ხელოვნება** რაც არ მოძრაობს წინ არ მიისწრაფის—სამარცხ უახლოვდება: ერთ ადგილზე გაჩერება-გაყინვა—სიკვდილი.

იყო დრო, როდესაც ჩვენი სასცენო ხელოვნება და დრამატიული მწერლობა წარმოშობა-აღორძინების ხანას განიცდიდა, მოძრაობდა, წინ იწრაფოდა: საკუთარი დრამატურგნი, დრამატიულ ნაწარმოებთა მთარგმნეონი თუ სცენის უბრაო ქურუმნი ჩვენც გვიბრწყინავენ, დღეს-კი ყოველივე ამას გაცრეცილი ერთფეროვნება ჰმოსავს, გაუღიზიანებელი ყინულებით დაჭვლილია...

და ეს დღეს, დღეს, როდესაც ეროვნული თეატრის ასპარეზი გაფართოვდა, ქართველთა თავის თავის ცნობა, საზოგადოებრივ „მე“-ს შეგნება უფრო გაღრმავდა.

#### მიზეზი?

ყოველ საქმეს ერთგული პატრონ-მზრუნველი უნდა! უპატრონო ეკლესიას ეშმაკები ვაპატრონებინ, მოუვლელი საქონელი საზღვლედ ხდებაო, — იტყვიან ჩვენში.

სწორედ ამ უპატრონობამ მიიყვანა ჩვენი თეატრი და დრამატიული ხელოვნება სავალალო მდგომარეობამდე.

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეში იმართება წარმოდგენები, ზოგან საკუთარი თეატრიც

გაიჩინეს და დასებრიც შეადგინეს. მაგრამ რეპერტუარის სიღარიბე-ერთფეროვნება, პიესების სიძველე და სცენის მუშაკთა მოუშინადებლობა სასცენო ხელოვნებას ერთ წერტილზე ჰყინავს.

ვინ უნდა შეავსოს ეს ნაკლი?

ვინ უნდა გამოსცეს დრამატიულ ნაწარმოებთა კრებულები, ათარგმნინოს გამოსადეგი პიესები, შეადგენინოს და გამოსცეს სასცენო ხელოვნების სხვა და სხვა დარგის სახელმძღვანელოებო, მოაწყოს ლექციები თეატრის შეახებ, დანიშნოს ახალ დრამატიულ ნაწარმოებთა დასაჯილდოვებელი პრემიები ახალგაზდა დრამატურგთა წასაქეზებლად, თუ არა დრამატიულმა საზოგადოებამ?

ქართული თეატრი დიდი ეროვნულ ხალხოსნური დაწესებულებათა, ჩვენი კულტურულად წინ წამწევი და მას უფრო დიდი ყურადღებით უნდა მოეპყრან, ვიდრე დღეს ეპყრობიან, ვისიც ჯერ არს.

ჩვენი ერის სულიერად განახლება-გარდაქმნის საქმეში თუ ოდესმე ეკლესიას ჰქონდა მინიჭებული დიდი როლი, დღეს ეს როლი ქართულ ეროვნულ-ხალხოსნურ თეატრს ეკისრება და იგი ამ როლის პირნათლად შეასრულებს, თუ მზრუნველ-მესვეური რიგნიანი ეყალიბდება.

ჩვენი სასცენო ხელოვნება ერთს ადგილზეა გაყინული: ყინულს გაღიზიანება-ამოშავება ეჭირვება.

## ზღვის პირად

არ დამიჯერე, თორემ ხომ გითხარ, მე არა მსურდა შენთან ზღვის პირად მზის დაწოლის ეამს გასეირნება.

არ დამიჯერე, და შენი ნება, აჰა, ასრულდა.

ახლა ნუ ნანობ: შენმა სურვილმა ასე იწება.

იქაც მდგროდა შენს ლურჯ თვალებში ზღვა დარხეული და შენს მკრთალ სახეს ეღვა ვარდისა იქაც არ აკლდა მაგრამ ფრთებსა შლის აქ შენს სახეზე ვილაც გრძნეული, და შენს თვალებში ვილაც უცნობი ალაპარაკდა.

ხედავ ზღვის ტალღა როგორ ქანაობს ცეცხლის რკალებში! — ცეცხლით ჩასწერე თვალში ეგ წამი მოსაგონარი...

მზე ჩამავალი ტალღებს აძინებს შენს ლურჯ თვალებში, და წამწამებში ჭარდას დაეძებს ოქროს ზონარი.

*ს. ა. მკვირძინაძე*



# ჩვენის პალიკო

ჯერ კიდევ მოსწავლე ვიყავი, როდესაც სუმბათაშვილთან (იუჟინთან) შემიხვდა მისგლა მოსკოვში.

ყოველ ოთახში, ყოველ ნაბიჯზე სიმღერე, ფუფუნება ადამიანს ჰქონია გემოვნება და ჰქონია საშუალება, რომ ეს გემოვნება დაეკმაყოფილებია. სადაც კი მიიხედავთ, კომფორტი.

ადამიანს ჰქონია წყურვილი მშვენიერებისა და ჰქონია მასთან საღსარიც, რომ ეს წყურვილი სრულად, უნაკლულათ მოეკლა. სადაც კი მიიხედავთ, ძვირფასი ქანდაკება, ძვირფასი სურათები, ძვირფასი და ლამაზი მოწყობილობა.

ბუნებას მოუცია ნიჭი, დაჯექი და იმუშავე, —ყოველივე ხელს გიწყობს მუშაობისათვის.

სუმბათაშვილიც მუშაობდა. და მუშაობს მხნედ, ნაყოფიერად. ის ნიჭიერი მსახიობია, ნიჭიერი მწერალი, მაგრამ...

მაგრამ ის, რომ ილიას სიტყვები მაგონდება:

შენი რაა, რომ ამშვენებ  
შენს . . . . . ოსმადესასა?..

რუსეთმა მისცა სუმბათაშვილს საუკეთესო პირობები მუშაობისა და ნიჭის გაშლი საფის. სუმბათაშვილმაც რუსეთს შესწირა თვისი ნიჭიც, თვისი შრომაც.

კი, მართალია, ნიჭის ნაყოფი საერთაშორისოა, საკაცობრიო, მაგრამ სუმბათაშვილის ნიჭი მაინც უფრო რუსეთს ამშვენებს ვიდრე იმის საქართველოს. საქართველო ვერ მისცემდა სუმბათაშვილს მას, რაც რუსეთმა მისცა. საჭირო, აუცილებელი იყო მსხვერპლი. სუმბათაშვილს უყვარს საქართველო ძლიერის, ღრმა გრძნობით; ამ სიყვარულმა დააწერია მას „ღალატი“; მაგრამ მსხვერპლის გამოღება მაინც ვერ შესძლო.

მე ამისათვის არა ვკიცხავ მას. დიდი ნიჭი ხომ დიდი გმირიც არ უნდა იყოს მაინცა და მაინც!

განვლო ღრმ. თან წარიტაცა ჩემი სიყმაწვილაც.

დღეს მე წილად მხვდა ჩვენს საკუთარ სუმბათაშვილთან, ჩვენს გუნიათან, ჩვენს ვალიკოსთან სიარული. სიმღიდრეს, ფუფუნებას აქ შორიხლოსაც კი არ გაუვლია.

ადამიანს ჰქონია და აქვს გემოვნება, მაგრამ არა აქვს საშუალება, რომ ეს გემოვნება დაეკმაყოფილებია.

ადამიანს ჰქონია და აქვს ძლიერი წყურვილი მშვენიერებისა, მაგრამ არასოდეს არა ჰქონია საღსარი, რომ ეს წყურვილი ცოტათი მაინც დაეკმაყოფილებია.

ბუნებამ მისცა ვალიკოს ნიჭი, მაგრამ პატარა, დაჩაგრულმა, ხელფეხ შებორკილმა სამშობლომ მას ვერაფერი ვერ მისცა.

საჭირო იყო აუცილებელი მსხვერპლი.

ვალიკომაც შესძლო ამ მსხვერპლის გამოღება და მთელი თვისი ნიჭი, თვისი დაუშრეტელი ენერჯია სამშობლოს ანაცვალი.

აბრამმა შესძლო და თვისი ერთადერთი შვილი ღვთისათვის სამსხვერპლოდ გაიმეტა.

ვალიკომ შესძლო და თვისი ცოლი, თვისი შვილები, რომლებსაც დღეს ყოველისფერი აკლიათ, თვისი საკუთარი თავი მსხვერპლათ შესწირა სამშობლოს სახელსა და დიდებას.

შესძლო იმიტომ, რომ დიდ ნიჭთან ერთათ ის არის დიდი გმირი და აქვს მას დიდი გული შეუბოვარი მოქალაქისა. დიდი მსხვერპლის გამოღებას რომ შეეშინებია ვალიკო და მორიდებოდა, განშორებოდა სამშობლო კერას, თვისი ნიჭით, თვისისიხ ენერჯიით გაიკაფავდა ჭზას და სხვაგან სხვაანეთ მოიპოვებდა იმ პირობებს, იმ კომფორტს, რომელაც ფრიად საჭიროა ნაყოფიერი მუშაობსათვის.

კერძოთ მისთვის, მისი ნიჭისათვისაც ვაცლა იყო საჭირო; მხოლოდ მისი სამშობლოსათვის კი დარჩენა.

ვალიკოც დარჩა.

და მიუხედავათ იმისა, რომ სამშობლომ მას ვერ მისცა ვერაფერი, ვალიკოს ნიჭმა მაინც გაიშალა და იმისმა შრომამ დიდი ნაყოფიც გამოიღო.



დინჯი, დაკვირვებული, ნიჭიერი მსახი-  
ხოები, მსახიობი-ინტელიგენტი—აი ვალიკო  
სცენაზედ.

მსახიობი ადამიანი, რომელშიაც შური  
და შტრობა არ არის,—აი ვალიკო. ბევრჯერ  
მომხდარა,—ნიჭიერ მსახიობს არ უყვარს ნი-  
ჭიერი ამხანაგი, ზურგს უკან ჰკიცხავს, ამცი-  
რებს მას.

ვალიკო კერა ლაპარაკში მხოლოდ თა-  
ვის თავს ამცირებს, სხვების ღირსებას კი არ  
მალავს. პირიქით ის აღტაცებული მოგიყვებო-  
ბით, აი ამას ეტყობა ნიჭი, აი ეს გაგრძე-  
ბინებს ნამდვილ განცდას, მე არფერი ვარ  
მათთან შედარებითო.

ვალიკო დრამატურგი—ეს ხომ ბუჯია  
ჩვენი თეატრისა, დაუშრეტელი წყარო ჩვენი  
რეპერტუარისა აქ ვალიკოს ტოლი არა ჰყავს:  
მისი შრომა ამ მხრივ გასაოცარია და დაუ-  
ფასებელი.

ვალიკომ მიიღო თეატრი მეტათ ღარიბი  
რეპერტუარით და თვისი დაუშრეტელი ენე-  
რჯის, შრომისა და თეატრისადმი უზომო  
სიყვარულით შექმნა რეპერტუარი. ვალიკომ  
შეაყვარა მდაბიო ხალხს სცენა, და მისი პიე-  
სები დღესაც ამშვენებენ ჩვენს სცენას და  
ჯერ კიდევ დიდხანს მიიზიდავენ მდაბიო ხალხს.

ვალიკომ ნიადაგი გაუმაგრა ოპერას ჩვენს  
სცენაზე და აქაც დიდი ნიჭი და შრომის  
უნარი გამოიჩინა. თუმცა თითონ მოკლებუ-  
ლი იყო სპეციალურ მუსიკალურ განათ-  
ლებას, მაგრამ მკოდნე პირნი პირდაპირ  
განცვიფრებული არიან „სპეცილიელი დალა-  
ქის“ თარგმანით

ღირსეული მოქალაქე, მებრძოლი დემო-  
კრატი, პირდაპირი, მოუარიდებელი, პარში-  
მთქმელი, რომელიც დაუძინებელი მტერია-  
ყოველგვარი საგანსთან სხვისი — ჩემთან ჩემობი-  
სა,—აი ვალიკო.

მას სწამს კლასები და კლასთა ბრძო-  
ლის დიდი მნიშვნელობა, მაგრამ დარწმუნე  
ბულია, რომ ეკლესია, თეატრი და საზოგა-  
დოთ ხელოვნება საერთოა და აქ პარტიული  
ბრძოლისა და კონკლავობას შეტანისა დიდი  
წინააღმდეგია.

საქართვეგ ავტონომია,—აი რას ვტ-  
უნებულობ, რომ მთელი

ქართველი დემოკრატია ადრე თუ გვიან შე-  
გნებულათ გასწევს ამ მიზნისაკენ.

დღესდღეობით?

დღეს საქაროა დიდი, თავგამოდებული  
კულტურული შეშაობა უყველა დარგში; ქა-  
რთველ ხალხს საკუთარ თავის იმედი უნდა  
ჰქონდეს,—აი ვალიკოს ღრმა რწმენა.

აგადმყოფი, სარეცელზე მიკრული ის მა-  
ინც მოქმედებაზე, ბრძოლაზე ოცნებობს.

საკუთარს თავზე, თავის აგადმყოფობაზე  
ვალიკო სულ ცოტას ლაპარაკობს; ის იმდენ-  
ად გატაცებულია ბრძოლის, მოქმედების  
წყურვილით, რომ საკუთარი თავი ხშირად  
ავიწყობდა.

საყვარელია, სათაყვანებელი ასეთი პი-  
როვნება.

თვისი დიდი ნიჭი, დიდი ენერჯია მან  
სრულად მოანდომა საქვეყნო საქმეს,—თავის-  
ათვის პირადი კეთილდღეობისათვის არაფე-  
რი გაიმეტა.

მადლიერმა სამშობლომ დიდხანია, შეი-  
ყვარა ვალიკო. მომავალი კიდევ უფრო გაზ-  
რდის ამ სიყვარულს.

ვალიკომ სრულად მოიხადა თვისი ვალი  
საზოგადოების წინაშე.

მე მრწამს, რომ ჩვენი საზოგადოება და  
დაწესებულებანიც სრულად მოიხადა თავე-  
ს ვალს ამ იშვიათი ადამიანის წინაშე

*ვ. კახიანი*

# ჩვენ

ჩვენ ჩვენს ვართ წუთისოფლის,  
ვინდებით ღანდებივით;  
ზოგნი ვლხინობთ და ვიცინით,  
ზოგნიც ბედს შევივით.

მწვერვალისკენ ვეშურებით,  
ავალთ და ძარს ვცვივით;  
სიზმარით ვიბადებით,  
ვჭკრებით სიზმარით...

*ქ. კახიანი*



# რ ა მ ე ნ ა ლ ვ ლ ე ბ ა ?

შემოდგომის ბნელ ღამეში მოვევლინე ტანჯვის ქვეყანას. კენესით, გოდებით ქარი-შხალი მიმდგრდა ნანას, შავი ყომრალი ღრუბლის ნაკვთები დნებოდა ცრემლად, თოვლის ფიფქები მმოსავდა თეთრად.

მაგრამ დაჰბერა გაზაფხულის ნაზმა ზეფირმა და მზემ ცხოველი სხივი მომფინა. ცელქმა ბუნებამ ტანს შემომამოხრა თეთრი საშოსი და სურნელება მომამკია ლურჯ მიღამოსი.

ბა, მომესმა ხმა იღუმალი.

შენი წარსული, ზუფერული ბავშვობის ხანა, სიყმაწვილეში ვით სიზმარი ისე გაქრება, მშობლის აღერსი თუ სიყრმის დროს არეინ გაღირხა, სიყმაწვილეშიც რომ არ გექნეს რა გენაღვლეება? რას სდგებხარ, წადი და ეძიე აწ ნეტარება! დროს ნუ აყოვნებ, სიყმაწვილეს ვით ყვავილი მალე დასქკნება..

და, ბა, წაშოველ! გამოგყვევი ვიწრო ბილიკებს, ნაძვანართა შორის, კლდის გულმკერდში ვპოვე ნაპრალი, რომლის თაღზედაც ვილაღის მკვეთარ ხელს ამოეპარგა წამების ჯვარი.

შეველ ჯურღმულში, შიგ სანთელი კრთომით ელავდა, იღვა კუთხეში განდევნილი და რწმენის ლოცვებს ზეცას უკმევდა.

ჩემს დანახვაზე შეკრთა მოხუცი... ღრთოლოვით, ცახცახით ძლივს ეს ხმები ამოიგმინა.

— ზოროტო სულა! იყავ წყეული, განვედ სატანა, იყავ ეული.

— ჰე, განდევილო, ძესა კაცისას ნუ შეაჩვენებ, და შენთან მოსულს საბრალო ქაბუკს გულის წყრომას ნუ გააგონებ.

— აღამის ძე ხარ? აქ რად მოსულხარ, რა გინდა, მითხარ?

— მოველ ვისმინო შენი მოძღვრება, ტანჯვაში შობილს გამაგებინო, თუ რაში ვპოვო სრულ ნეტარება.

გადამიშალა, სანთლის ცრემლებით დაღვინათილი, წინ სახარება, მითხრა:

— სდექ კრძალვით მოისმინე მთაზე თქმული ეს ქადაგება:

— „ნეტარ არიან გლახაკნი სულით“...

— გლახაკნი სულით? არ მინდა, არა, ეგ ნეტარება არ მინდა! გესმის? არ მენატრება! ნეტარ არიან გლახაკნი სულით. ხა! ხა! ხა!

და დავტოვე განდევილის ბინა სადგური, დავეშვი ქვევით, მის დაღადისს, მის ვედრებას არ ვუგდე ყურა.

შკერდ გაღელილმა, ფეხ-შველმა გავიარე ვრცელი უღაბნო, სიმს ღ—წყურვილმა ფერი შემიკრთო, სულ ჩამი დნა. ძლივს დავადწიე უღაბნოს თავი, შევეც რე ზღვაში და მის ტალღებს მივანდე ნავი.

სადღაც კუნძულზე, წალკოტის ბირად გაშენებულ კობტა დარბაზს მოვკარი თვალი, ასული ტურფა აივანზე გადმომდგარიყო, ნაზი ღიმილით წამიკიდა გულს ვნების ალი.

— მეზღვავურო მოაცურე ჩემსკენ ნავი! მო მესტუმრე, სად მისცურავ, რად გახწირე ვაჟო თავი.

— არ შკალიან, მივენდევი ბედის ტალღას, არ მკალიან, გესმის ქალო, სული ეძებს ნეტარებას.

— ჩემსკენ, ჩემსკენ, ჩემს ხვეწანაში, ჩემს თმათა ჩრდილში დაისვენებ ნეტარების ტკბილსა ძილში.

— და დავფერფლე გული ჩემი ვნების კოცონზე, ძიება სულის გაიყინა ასულის მკერდზე.

მაგრამ ვერ ვპოვე ნეტარება ნახ შეყვალ აღერსში, განთიადისას გული კვლავ კენესდა სიმწუხარეში.

კვლავ გაუდექ გზას ძიებისას, კვლავ მივენდე ტალღებსა ზღვისას.

ვარსკვლავთა ციმციმს, ტალღათა ღივიღვის და ღამის დუმისს, უზიარებ ძიებაში დადლილ სულის ნატვრას და წადილს მართო ვარ, მართო სულით ობოლი. არა შეყავს ტოლი. მუხთალი ბედი მაფრქვევინებს თვალთაგან ცრემლებს, მწუხარეხული არ ისვენებს, ნეტარებას ეძებს და ეძებს.

ოჰ, დავიდადე! დავიქანცე მე ამ ძებნაში, სული დაწყლულდა, გული დაქანა მწუხარებაში და რაც ვიტანჯე იმის ნაცვლად აწ რა ვპოვო ნეტარებაში?



იღუმალი ხმა არ მასვენებს, კვლავ მე-  
ძახის გამოწყე, წაშო, რა გენადღებდა არე-  
მიდამო ცრემლებით ნამო? ნეტარება თვით  
ტანჯვაშია, თვით ტანჯვა ქანის სრულ ნე-  
ტარებას, ბრძოლაში უნდა გაატარო სიცო-  
ცხლის დღენი, ბრძოლაში უნდა მოიპოვო  
შიზანი შენი.

ეჰ, თუ ასეა, ცრემლით მორევში რად  
ჩავძირო იმედის გემი? რად ვივლოვო ჩემს  
დაკარგულ სიყმაწვილზე ან რად დავიწვე  
აგზორცობის ბილწ სამსხვერპლოზე?

და თუ ბრძოლაში სიცოცხლის დილა  
დამიზნელდება, დე, ძიებაში მოვკვდე, ვეწა-  
მო! რა მენადღებდა, რა მენადღებდა!..

მარტი 1916 წელი.

*თბ. სომეხური*

# საკუთარი

შაქარსა ვეპმ თუ შარბათს ვსვამ,  
ბირი მაინც მაქვს მწარეთა,—  
თან დამდეგს სევდა-ვარამი  
შინ ვიყო თუნდა გარეთა.  
ტანჯული ხალხის მნახველსა  
ცრემლი დაწვებს მზანს ხშირათა,  
მათი ოხვრა და ვაება  
ვერ გამომიტყვამს პირათა.  
უყურებ საპყარ-საცოდავს  
რომ სულსა ჰდაფავს სიმშილი,  
სახლი თავს ჩამონგრევია,  
ცის ქვეშ უყრია წვრილ-შვილი.  
ერთხელ ამ საპყარს აქებდნენ  
მტერთანა გმირობაშია;  
ამ ქვეყნის ბედნიერებას  
უწერდნენ ბირობაშია.  
ახლა ქუჩაში მათხოვრობს  
ძალ-ღონე გამოლეული,—  
უხელ-ფეხოს და უსახსროს  
ველარ დაუძრავს სხეული.  
დღეს მას ღიმილით უყურებს  
გუშინ მის მაქებარია,—  
მდიდარს ფეხებზე ჰკიდია  
თუ საწყლის ლუკმა მწარია,  
ბირიც ამიტომ მწარია  
და გულიც მისთვის ღონდება—  
ბევრსა ვსჩივი და ვსტირევიარ—  
ქვეყანა არა სწორდება!..

გ. შინატეხელი

# ილია და მთიულე

ლევანდა.

ვიწრო და გრძელ ხეობაში სცხოვრო-  
ბდა ერთი მთიული.

ერთხელ ჩამოუარა მას ილია წინასწარ-  
მეტყველმა და გამარჯობა უთხრა.

— გაგიმარჯოს,— მიუგო მთიულმა.

— აქ სად დამინავებულხარ... გაწვიმდე-  
ბა, მთიდან ნიაღვარი მოვარდება და გაგა-  
ნადგურებს, სჯობს ახლავე ადგილი გამო-  
ცვალო!— უბრძანა ილიამ.

— კარგა ხანია აქა ვცხოვრობ და ჯერ  
აგეთი არა ყოფილა. გამოცდილებით ვიცი აქ  
შავ მხრივ საშიში არ არის,— დაბეჯითებით  
მიუგო მთიულმა.

გაჯავრებული ილია განშორდა მთიულს  
და ღმერთთან წარსდგა:

— უფალო, ეგ როგორი განაჩენია...  
ერთ ხევში ერთი მთიული ღმერთობას ჩე-  
მობს: „აქ არასოდეს საშიში არ არის, ნია-  
ღვარი არ მოვარდებაო,— ამბობს ის, უჩვენებ  
მას აქვენი ძალა“—

შესჩივლა შეუფეს ილიამ.

— ახლავე წადი, მოიხმე ყველა ღრუ-  
ბელი და იმ ადგილს გადაუღებლივ აწვიმე,—  
უბრძანა მეფემ ილიას.

გახარებული ილია სწრაფად შეუღმა სა-  
მზადისს.

და მოვიდა საშინელი, კოკისპირული  
წვიმა.

მთიდან მოხეტქილმა ნიაღვარმა მთლად  
გაატიალა მთიულის ქონება.

მეორე დღეს ილიამ ისევ იმ ხევთან ჩა-  
შთიარა

დანიახა გაუბედურებული მთიული და  
ნიშნის შოგებით გადასძახა:

— როგორ ატყობ, საშიშია აქ ცხოვ-  
რება თუ არა?

— კიდევ არა მიშავდა რა, მაგრამ ღმე-  
რთმა მბებლარის ოჯახი დაატყობს.— მიუგო  
მთიულმა.

ლ. შიძიგური





# დ უ ზ ე

(გაგრაქლება ის. „თ და ტ“ № 41)

ოცი წლის წინეთ ერთ თავის მეგობარს აი რასა სწერდა არტისტი ქალი:

„... შევენ მაშინ გამიცანიეთ, როდესაც ესრეთ წოდებული ბედნიერი დღეები მედგა მაგრამ მე მგონია იმდენად გულანდილი ვარ, რომ უფუოდ მიხვდებოდით—სცენაზე წარმატებას კი არ ვეძიებდი, არამედ თავშესაფარს. ახლა სამაგიეროს დრო დადგა, დრო დაჯილდოებისა, სამკალის მოძვისა და მეც ვემზადები თავისს თავს დაუბრუნდე. წლიდან წლამდე ვმუშაობდი, მთელი ჩემი ახალგაზღობა შუშაობაში გავატარე, ასეც უნდა ყოფილიყო; ახლა კი დიდი დასვენება მინდა, პირდაპირ მწყურია. იმდენი შევიძინე, რომ შემძლია ვიცხოვრო და მე ამითაც კმაყოფილი ვარ. სამი თვის შემდეგ ჩენს ყოველდღიურ სამუშაოს, მეტად საძნელო სამუშაოს მოვრჩები.

„შე ერთი დიდი სიმდიდრე მაქვს. ეს ის არის, რომ სიმდიდრეს არ ვეძებ.

„ერთი ბაწია თავშესაფარი გავიჩინე თერთად შელესილი კედლები აქვს, ძველი შენობის მძლრა სართულში იმყოფება ვენეციაში. სახურავ ქვეშაა და თან დიდი, დიდი ფანჯარა აქვს, იქიდან მთელი ქალაქი მოსჩანს. იქ მივდივარ.

„შემოდგომო ბუნებაში და ჩემს სულშიაც წყნარია და დამშვიდებული.“

საკვირველი არ არის? ამ ოცი წლის წინეთ დიდებულ არტისტ-ქალს ცხოვრების რომელ შემოდგომაზე უნდა ელაპარაკან? მისი საცვიფრელი ნიჭი სრულიად გაფურჩქნული იყო და ალტაცებაში მოწყავდა მთელი ქვეყანა.

მაგრამ ამის გასაგებად საჭიროა გავიხსენოთ amara, რომელიც ზოგჯერ მის სულს დაეპატრონებოდა ხოლმე. როგორც კი ეს amara მოუვლიდა, არტისტი ქალი გამოიპარებოდა რომიდან, ან ნეაპოლიდან და მიაშურებდა ვენეციაში მის „ბაწია თავშესაფარს“. უნდა ვიფიქროთ ეს წერილიც იქიდან არის მოწერილი.

ამას გარდა ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ დუზემ სასცენო მუშაობა

ოთხი წლისამ დაიწყო. პირველად ოთხი წლის ბავშვის როლი შესრულა ვიქტორ ჰიუგოს „საბრალონში“, კოზეტის როლი. და ეს შემთხვევით კი არ მომხდარა: ბავშვის როლი ხელოვნურ ასრულებას თხოულობდა და ელფონორამაც აღასრულა. ამ გვარად ბავშობაში დაიწყო მისი ნამდვილი სამსახური. თორმეტი წლისა უკვე ფრანჩესკა და—რიშინის ასრულებდა

დიდხანს მსახურებდა იგი ისეთ დასებში, რომლებიც სხვა და სხვა ბაზრობაზე დაძრწინ მთელს იტალიაში და თითო-ორიოლა გროშს შოულობენ. ასე რომ სიმშილი, სიღატაკე და სხვა დაბრკოლებანი ზევრი გამოუცდია. მხოლოდ, როდესაც 20 წლის შესრულდა, მაშინ ედიტრსა დიდ თეატრში გამოსვლა.

და აი ხედავთ: მას შემდეგ, რაც ესეთი მძაფრი ცხოვრება განვლო, არტისტი-ქალი ამბობს:

— სცენაზე წარმატებას კი არ ვეძებდი, არამედ თავშესაფარს.

აქ გამოსჩანს სიღიადე მისი სულისა. სიღარიბე და სიმშილი მხოლოდ ჩვეულებრივ აღაძიანებს აწუხებს, ის კი—თვით სიღარიბეში ცხოვრებდა, მაგრამ სიღარიბე სრულად დაავიწყდა. რაღაც უფრო დიდი, უფრო ძლიერი, ვიდრე სიღარიბე იყო, აძალებდა მას, უბრძანებდა სცენაზე მოექებნა თავშესაფარს! სახელი და დიდება, ფული და სიმდიდრე შემდეგ თვით მოვიდა მასთან.

თუ კი დუზეს სულის საიდუმლოს მიგხვდებით, გამოვარკვევთ იმ ძალას, რომელიც ზოგჯერ სცენისაკენ ეზიდებოდა, და ზოგჯერაც სცენიდან მას „ბაწია თავშესაფარშია, მაშინ ჩვენ მის ტალანტის შინაარსაც გამოვარკვევთ.

ვცადოთ.

(დასასრული იქნება)



# ერთხელ გიხილე...

# სცენის მუშაკი

ერთხელ გიხილე ნახი, ნარნარი,  
 სიყვარულია შუქისა მფენი,  
 და საუკუნოდ გულს ჩამესახა  
 შენი სახელი, შენება შენი.

დაგიხლოვდი.. და მსურდა ტრფობა,  
 სულით გარდაცვლა შენს ღვთიურ სულში.  
 მაგრამ ვაიმე!—სიცარიელე,  
 ვპოვე ფუტურო გრძნობის უფსკრულში,  
 ახ, რად მომელო ტრფობის აღმური?  
 რათა ხარ ასე შენებით სრული?  
 — ჩამომცალე! ჩამომცალე!  
 არა გაქვს გრძნობა, არა გაქვს სული!..

დარია ანვლედსანისა



ქ. ვ. რაუ. წუწუნავა

„მოგზაურ დასში“ აქ გაცივდა 3 წ. ავადმყოფობდა. გარდ. 11  
 დეინობ. ოზურგეთ. ნიჭიერად ასრულ. ქრისტიანს, საღიხეს.

ულმობელმა სენმა  
 ქლექმა იმსხვერპლა  
 ჩვენი სცენის—განსაკუ-  
 უთრებით სახალხო და  
 პროვინციის თეატრის  
 დაუღალავი მუშაკი,  
 მსახიობქალი ეველინა  
 წუწუნავა, დაი რეჟი-  
 სორ წუწუნავასი.

ეველინა ჯერ კიდევ  
 ახალგაზრდა იყო სცე-  
 ნაზე გამოვიდა 1901  
 წ. ოზურგეთში, 1909  
 10 წ. ქუთაისის მუ-  
 ლმივ დასში შევიდა,  
 1910—11 წ. ჭიათურის  
 დრ. დასში, 1911  
 12 წ. თბ. სახ. სახ-  
 ლში, შემდეგ მიიწვი-  
 ეს ბათუმს შ. დადიანის

## სიკვდილ-სიცოცხლის დიალოგები

### ა—აბაკაძე, ორი ასული

- იცი, თამრიკო, მე მომწყანდა!.. მე გული მწყდება...
- წამო ბუჩქებში! აქ რა გინდა, აგვისოცხდება!
- უპ, რა მაწამებს ამ სიცხეში წიგნების კ-თხვა!..
- მართლა!.. შოთიკომ დამაბარა შენთან მოკითხვა!
- შენც მოგიკითხა ბიძინამ და კიდევ მეორემ!..
- გუშინ?.. ბ-ძინამ?.. მორცხვი არის ცოტათი თორემ...
- ჩუ!... ტაში ცეკვა!—შეგროვილან მგონი ჩვენს ქვემოთ!
- ქეთო, წავიდეთ! ჩვენც ვიმღეროთ! ჩვენაც ვიცეკვოთ! (მიდიან)

### ბ—იქმე, ორი მოხუცი

- მე მცივა ქუჯი, ქუჯი ღღესაც სიცვიე არის.
- ისევ დილაა?—ხმა მესმოდა თერთმეტი ზარის.
- მე მარტო ხუთი გავიგონე.—წამიხდა სმენა!
- მოვხუცდით ზურაბ, ჩვენი ყოფნის მზე ჩაეფენა.
- იქით რომ ბრწყინავს ჩვენს მახლობლად ნეტავ რა არი?
- სასაფლაოა და ელვარებს გუმბათის ჯვარი!
- რალაც მაწუხებს... ტაშს უკრავენ მგონი ჩვენს ქვემოთ!..
- სასაფლაოზე სიჩუმეა: იქ მოვისვენოთ! (მიდიან) სიმ წიველი



რეჟებ ბეგ ნიჟარაძე  
 ქართველი მამადიანი, უმა-  
 ლღეს სწავლა-დამთავრე-  
 ბული, ქ ბათუმის ხმოსანი  
 გასულ კვირას დამტკიცე-  
 ბული იქმნა ბათუმის მო-  
 ურავის მოადგილედ,

## ექვსი ვიცოდი

არვის უყვარდი... არვინ გყავდა გულის დაშვწელი;  
 სწყველიდი იმას, ვინც დაგბადა, ვინც გაგაჩინა...  
 მე გიერთგულე და ძმას ძმურად მოგეცი ხელი ..  
 მე გიერთგულე და ჩემს სახლში მოგეცი ბინა...  
 ეპ, რა ვიცოდი, თუ იყავი ქვემძრომი გველი...  
 ეპ, რა ვიცოდი, თუ შენს გულში ღალატს ეძინა!..



თბილისის

დრ. დასი



ა. ქიქოძე ნ დავითაშვილი



ტ. აბაშიძე



ნ. ჯავახიშვილი მ. ქილარჯი-შვილი



ა. წუწუნავა რეჟისორი



ვასო აბაშიძე



კ. კოსტავა



ნ. ზარდალი-შვილი



გ. ფრონისპი-რელი



მ. სარაული



გ. არადელი-იშხნელი



ნ. თარალაშვი-ლი



ნ. გვარაძე





# ლ ე ვ ა ნ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი

(გაგრძელება. იხ. "თ. ც." № 41)

ლევანი ავიდა ლიასის ხეობის ხიდრში და დადგა მანძილების კუთხიდან სოფ სსლებში, და აქედან იწუო აღელებს ოსებას, რომელთაც ჰმინდებოდა უსუ ჯილდოებს სმარსთა მთავრობის მხრივ და თან ავრცელებდა სმარს, აღექსანდრე ბატონიშვილი 20000 სმარს-ოსმალეთით შე მოიჭრაო ქართლში.

თან თვით აღექსანდრეც ჰფუნდა მთელს საქართველოში მოწოდებებსა და ფირმანებს და უწოდებდა თავადებსა და ხაღხს ერთსულაფნად ამდგარიყვნენ რუსთა წინააღმდეგ. უმეტესობა თავადებისა სრულიად გულგრილად ეგებებოდა ამ მოწოდებებს, ხშირად ართმეყენენ კიდევ დაშტარებლებს და ურდებენ მთავრობას; ასევე უგულოდ ეგებებდნენ მათ უკეთესად მცნობი რუსებისა ქურთათის და თავაურის ოსები, აგრეთვე შთიულები და თვით შტნოვრები ქსნისა და არაგვის სეობებისა. "მხატვ მოწმუნე" ღიასელები კი კვლავ ამოძრავდნენ ძლიერად. ცოდუმილი და ქონება მიმალეს მიუფად ბუნე-ბიოვე დატულ ადგილებში და თვითონ კი რახმ-რახმად იწუეს მისეგა ქართლის სოფლებისა, ამით დასაცულიად ტორმასოვმა ჯარითა და ზარ-ბახნებით გატყაუნა ზოლო სტადი.

მაგრამ ქართლის სოფლების დაცვა არ კმა-როდა. საჭირო იყო ამოხსების ჩაქრობა თვით ოსეთში, სადა განუწვევტილი მუშაობდნენ ღეგანი და ბატონიშვილი აღექსანდრეს კაცები. ამიტომ ტორმასოვმა ბრძანება გასცა, შესულიყო ორიოდე როტა შუაგულ ოსეთში, შეუნდობლად მოჭებრობოდა მოწინააღმდეგეთ და იქაურ ზე-დიდგან გამოეგდო ბიჭუგა ღეგანი.

ახერდოვი შეემზადა შესულიყო ოსეთში რაშენიმი მხრიდან შემოდგომას, როდესაც სე-ტებს დასცვიოდა ფოთოლი. და მანამდე-კი სა-ჭიროდ დაინახა რომელიმე დონსიძიებით გატე-ლო ოსეთიდან ღეგანი. მას სურდა მიეცაუნათ ბატონიშვილთან "ტუბერსკი სეკრეტარი" ღავით აბახიქე, რომელიც იმ ხანებში მოსულიყო მოსკოვიდან. \*) იგი კარკად იცნობდა ღეგანს და შეეძლო გადაეტა მისთვის ცნობები შესახებ მის მამის ცხაფრებისა და სურვილისა და დაე

უოლებინა ჰაბუკი "ღეგანტიურე" სელი ადლო უკუნურ შეძიებლ აბისაგან

ტორმასოვმა მოუწონა განზახვია, მაგრამ ამ შიტიქელობიდანც არა გამოვიდა რა. ღეგანმა, ამ ბიჭმა, გაჯიქებულმა ველურობაში, არა შეკ-ნემ ერთეულობის გრძობათა თვისი შამუფისადმი არც თვისი მშობლისა, აბახიქეს უხასუნა იგივე, რაც წინანდეგ მოტიქელს დეკ. ქართველიშვილს. ვერ იმოქმედა მასზე ვერც მაგალითმა მის შკ-გობრის ბატონიშვილის თეიმურაზისა, რომელიც თავის ნებით დაბრუნდა ტფალისს სმარსეთით. ამ ამბის მიმოტანი იგივე აბახიქე ღეგანმა უკან-ვე გამოა რუნა უნუგეშოდა.

აშკარა გახდა, რომ ზოშკი სიმშვიდისა და შთავგონების უნაყოფო რჩებოდაო. ამიტომ ისევე სასტიკობის ზომებს ჰიქმარავს.

უკუნისთვის ზოლოს 1810 წელს დაშკარო, რომელიც შესდგებოდა 6 როტა ქვეითი ჯარით, 2 ესკადრონ დრეკუნით, გაზახთა დასტიო და ქართულ მილიციით, შევიდა ოსეთში მის მოსა-წყობად და დასმორჩილებდა. ნახეგარი ამ და-შქრისა სტალის შეთაურობით 30 სექტემბერს არაგვის-სეობის ოსების სოფლების ზირს მივი-და, აქ ამ დროს მოგროვილიყო 2000 ზე მეტო ღიასევი ოსობა მათ მამასახლისებით და წინა-ძღოლობით დურმიშხან ტუსიშვილისა, რა-ბა პრთეულებს შეეფიცათ ღეგან ბატონიშვილისთვის. (იქვე, 235)

მ. ჯანაშვილი

(დასასრული იქნება)



\*) ეს ის დავით აბახიქეა, რომელიც იყო იულო-ნის ფარეშთხუცესი და რომელმაც ულავე-ქვარში თ-ვის ბატონი იხსნა რუსის ხიშტიასგან, მას შემდეგაც ვი თან ახლდა იულონს.



# ი კ უ ლ მ ბ უ ლ ნ ე

გაგრძელება იხ. „თ. და ც.“ № 41

**დონ-მენდეს.** (ჯიმილითვე). მშვილობა შენდა, რაბბი აქ მოველ მხოლოდ მიტომ, რომ გავიგო შენი მშვილობა, ჩემო ძვირფასო რაბბი, და მშვილობა ჩეთა მოძმეთა. მაგრამ, როგორცა ვხედავ, არც აქ, თქვენ შორის, არ მესმის საკეთილო ამბავი.

**დონ იმან.** ახალი რა ისმის ინკვიზიციის საიდუმლო სათათბიროში? შენც გაიგებდი, რომ ერთ ჩვენთაგანზე იქვი მიუტანიათ: შეგძლიან თუ არა აღმორცხო ის იქვი საძღვლოებ-სა და ინკვიზიციის გულიდამ?

**დონ მენ.** ვცდილობ რაც კი შემძლიან. ყოველ დღე სხვა და სხვა ტყუილ-შეთხზულ ამბებს მოუთხრობ, ამით მინდა იქვი მივატანინო ნამდვილ კათოლიკებზე, რათა ებრაელე-ბზე-ყურადღების მისაქცევად აღარ ეცალოთ. მე და ჩემი მოძქენი, რომელნიც ინკვიზიციის სხვა და სხვა თანამდებობას ვასრულებთ, ვცდილობთ, რაც კი შეგვიძლიან, ავაცდინოთ მეთაურები ნამდვილ გზას და თვალები აუხვიოთ. ბევრჯერ კიდევ მოგვახერხოთ ეს და ვიხსენით რამდენიმე სული, რომელთაც ინკვიზიციის ბრძანებით მისჯილი ჰქონდათ აუტანელი წამებით სიკვდილი. მაგრამ ასეთ-ისე, ჩვენ, ებრაელები მცირენი ვართ, იმ აუარებელ ჯაშუშთა და მმართველთა შორის, რომელიცა ჰყავს ინკვიზიციას; და ჩვენს გარდა არიან კიდევ სხვა ათასობლივ მზევრავნი თვლნი, ყოველ თითო ნაბიჯის გადადგმავზე, მუდამ საფრთხეში ვართ და საშინელი უბედურება მოგველის.

**დონ იმან.** ამ უკანასკნელ ხნის განმავლობაში ვისმე რამე ფაურაკი შეემთხვა? შეიპყრეს ვინმე ჩვენი მოძმეთაგანი?

**ერთი სტუმართაგანი.** ამ ორი დღის წინად შეიპყრეს მდიდარი ებრაელი დონ-იულიანო. ის თავისი ოჯახობით ახლა საპყრობილეშია და მძიმე სასჯელს ელის.

**მეორე სტუმარი.** მისი ნაცნობ-მახლობელნი ცდილობენ პირიდან გამოპტაცონ ონავარ მხეცს, რომელიც ასე შეუბრალებლათა გვქვამს. მაგრამ მეძნელემა თავიანთი დი მეცა-

ნეობით გახდენ რასმეს: დონ-იულიანო ძალიან მდიდარია, და ინკვიზიციის მღვდლები არას გზით არ დასთანხდებიან, ამნაირი მსუქანი ლუკმა პირიდამ ვაგდონ, როცა უკვე თავიანთი ბასრი კბილები გაუყარეს.

**დონ-იმან.** რასაკვირველია ის ისე ძალიანა ფრთხილობდა და მაინც მიიტანეს იქვი! ძალიან მსურდა გამეგო, როგორ მოხდა ეს საქმე? ის ხომ მთელ ქალაქში ისე იყო გათქმული, როგორც წმიდა კათოლიკე.

**მესამე სტუმარი.** ამბობენ: სახლშია რა კათოლიკე მოახლე ჰყოლიათ, იმას დაუტეხნია მათთვის ეს უბედურებაო. მის ოჯახში მისულა თუ არა, თავიდანვე იქვის თვალით დაუწყვია ყურება ყველაფრისათვის, ვინაიდან რამდენიმე ზნეჩვეულება იმის ოჯახისა თვალში არ მოსვლია, და მაშინვე ბეჯითად შესდგომია მათი ქცევის მეთვალყურეობას. ამნაირად, თანდათან უფრო გაძლიერებია იქვი, ისე რომ უკანასკნელად უტნობებია საიდუმლო ინკვიზიციისთვის რაც ენახა და გაეგონა; ინკვიზიციის ბრძანებით გაუგზავნიათ საიდუმლო ჯაშუში, რის შემწყობითაც გამოურკვევიათ საქმე.

**დონ იმან.** აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ დიდი სიფრთხილე გემართებს ჩვენი მოახლე-მოსამსახურეთა მიმართ.

**პირველი სტუმარი.** ასე თუ ისე, ორთა წყალ შუი ვართ. ჩვენ იმიტომ ვიყვანთ კათოლიკე მოახლე მოსამსახურეებს, რომ იქვი არ მოიტანონ, თუ ჩვენ ებრაელები ვართ; ბოლოს-კი თვითონ ისინი გვატეხავენ თავს დიდს უბედურებას, ვინაიდან იმათთან გაფრთხილება შეუძლებელია.

**უველა შეკრებილნი.** დიახ, ცუდ დღეში ვართ! (ობრავენ და მაღლა იუყრებიან ღოცვა-ვედრების გამოკეტეველი თვალებით.)

(გამოქვაბულში გამოჩნდებიან დონ-ლანსო, დონ-ნა ლაურა, დიეგო და კლარა, სუვევლას სადღესასწაულო ახალი ტანისამოსი ატვია. დიეგო და კლარა გაოცებით იუყრებიან აქეთ-იქით).



## V

ოგინიე, დონ-ალონსო, დონნა-ლაურა.  
დიეგო და კლარა.

**დონ-ალ.** (სტუმრებს). გაპარჯვება თქვენი, ჩემო ძვირფასო ძმებო! გმადლობთ, გმადლობთ, რომ პატივი მეცათ და მობრძანდით მიიღოთ მონაწილეობა ჩემი შვილის სიზმარულეში, რომელსაც შეუსრულდა ცამეტა წელი. აბა, ტრაპებს მოუხედით. (უკვლანი მოუსხდებიან დიდ მაგიდას, რომელიც სდგას გამაქვანულში. დონ იმანუელი ზის თავში, მარჯვნივ უსხედან დონ-ალონსო და იმისი მეუღლე, მარცხნივ სდგას ორი სკამი დიეგოს და კლარასთვის).

**დონ იმან.** (დიეგოსა და კლარას). დასხედით, შვილებო, აქა. (უჩვენებს სკამებზე. რომელიც მარცხნივ სდგანან) ეს ადგილები თქვენთვისაა გამზადებული, ვინაიდან თქვენ ხართ მიზეზი ამ დღესასწაულისა. (ბავშვები სხდებიან და განაგრძობენ გადგებით ყურებას აქეთ იქით).

**დონ ალონ.** (შვილებს). დიეგო ჩემო ძვირფასო შვილო, დღეს შევისრულდა ცამეტა წელიწადი. დღეიდან შენ პატარა კი აღარა ხარ, არაჲდ კიტი, რომლის მოვალეობაც არის თვითვე იბრუნოს თავისი თავისთვის. დღეიდან იძულებულნი ვიყავით დაგვემალნა შენთვის ბევრი საქმე, რომელიც თუმცა ძალიან გესურდა რომ გცოდნოდა, მაგრამ გვეშინოდა გაგვემხილა შენთვის ჩვენი საიდუმლო. ახლა კი ვიმედოვნებ, მიხედვები ყველასფერს და გეცოდინება, თუ როგორ უნდა მოიქცე. შენც, კლარა, შენ ხომ ქვიანი ქლი ხარ; მათ ყურადღება მიაქციე ყველა იმ სიტყვას, რომელსაც მოისმენ აქ, და კარგათ, ღრმით ჩაიმარხე გუნებაში, რადგანაც დიდისა და ფრიად გასაკვირველ ამბავს მოისმენთ თქვენ ორთავენი ახლა. თქვენი საყვარელი მასწავლებელი დონ-იმანუელი ვიამბობთ ყველას.

**დონ იმან.** (ბავშვებს). დიახ, ჩემო საყვარელო შვილებო, ახლა გაიგებთ ჩემგან ისეთ დიდ და საოცარ ამბავს, რომლის მსგავსიც თქვენ დღეში არ გაგვეგონებათ. მაგრამ სანამ იმ ამბავს ვიამბობდეთ, მე მსურს ვიამბოთ ერთი პატარა მოთხრობა. ყურადღება მოაქციეთ კარგად:

„წინედ, დიდი ხანია მას შემდეგ, იყო ერთი მეფე, მდიდარი და გმირი, რომლის სწორიც არ მოპოვებოდა მთელ დედამიწის ზურგზე. იმ მეფეს ჰყავდა ბ. ვერი ქლ-ვაფნი და ვინაიდან მი ი სამეფო იყო დიდი და ვრცელი, ამიტომ დაჰყო პატარ-პატარა ნაწილად და დაურთა ყოველ თვითვეულ შვილს, რომ ეთფლნათ მასზე. და იმ მეფემ, როგორც წრფელმა და მართალმა, დააწესა წრფელი და მართალი წესები, შეთხზა წიგნით და გაუგზავნა ყველა შვილებს, რომელშიც უბრძანებდა აღესრულებინათ ის, რაც ეწერა იმ წიგნში, და მოქცეულიყვნენ იმ კანონებსამებრ, რომელიც იმ წიგნში იყო ნაჩვენები; ამითი იქმნებოდენ ბედნიერნი მთელი თავიანთი დღენი მაგრამ შვილებმა ვერ შეიგნეს თავიანთი მამის სურვილი კარგად; არ იცოდენ როგორ აღესრულებინათ მამის ნაბრძანები, წიგნი თავიდან მოიშორეს და მიივიწყეს. მხოლოდ იმ მეფესა ჰყავდა ერთი შვილი, ყველაზედ უმცროსი, რომელმაც დაიცვა მცნება თავის მამისა და აღსრულა ყველა მისი ნაბრძანები; იმის გულისათვის მეფემაც ძალიან შეიყვარა და უთავაზა ყველაზე სუკეთესო მხარე სამეფოდ, იმნაირი ქვეყანა, საცა მუდმივი გაზაფხული სუფევს; მხარე, რომელსაც ირგვლივ არტყიან მთა-ბორცენი და სდებენ საუცხოვო შნოსა და ლაზათს, ისე რომ ვისაც-კი ოდესმე უნახავს ეს მხარე, ერთხელ მაინც, აღარ ძალუძს დივიწყოს სიკვდილამდე.

„განვლო ბევრმა ხანმა, მეფის შვილი იცავდა თავის მამის მცნებებს და ცხოვრობდა ლალად და ბედნიერად თავის მშვენიერ ქვეყანაში; მ.ს თავის სიცოცხლეში არ განცდიდა ზრუნვა და ნაკულოვანება. მხოლოდ ერთხელ შვილმა თავისი მამის წინაშე ჩაიდინა დიდი ცოდვა. განრისხდა მამედ მეფე ფრიად, მოიხმო და უთხრა შემდეგი:

„დიდია ცოდვა შენი და არ ძალმიძს პატიება. მსურდა მომეკალი, ვინაიდან ღირსი ხარ სიკვდილისა ამისთანა მძიმე ცოდვის ჩადენისათვის; მაგრამ, რადგან ძალიან მაყვარხარ და მხოლოდ შენა ხარ ერთად ერთი ყველა ჩემ შვილებში, რომელმაც დაცავი



დღემდე ჩემი ბრძანებანი და მცნებანი, ამიტომ დაგიდგინე: გაღმობი შენი სამეფო ტახტილამ, რომელიც გითავაზე, განვიდ შენი მშვენიერო ქვეყნიდან, რომელიც გიმოწყალე და ძრწოდე, ილტოდე მთელ დელაიწის ზურგზე და შენი მამულიც დაშთეს ოხრად.

**ნ. ელიაშვილი — ბენ დავიდ**  
(გაგრძელება იქნება)

**წმინდა ხელაფნება**

კადეგ დიდი ხანი იქნება საჭირო, რომ ჩვენში ფართო საზოგადოება გაეცნოს სათავა-  
ტრო ხელაფნების მნიშვნელობას; კაცობა-კაცობის დაჩქარება უმთავრესი მიზანი უნდა იყოს თეატრის შესწავლებისა. ბევრი იმ აზრისაა, რომ დადგმულს ნახვის შემდეგ თვით მსუფრულები კაშიოტანს შესაფერ დასკვნასა და ეს უკეთესი იქნება, — ასე მსჯელობენ უმთავრესად თეატრის ხელმძღვანელები. ამ მსჯელობას მაშინ ექნებოდეს მთელი თვისი ფასი, როცა წარმოდგენების მსუფრულები შეგნებულნი იქნებოდნენ. როცა წარმოდგენას დროს გასატარებლად ესწრებიან, იქ დასვენის გამოტანის ვინ დაგიდგეს. ჩვენ ხშირად, თითქმის ყოველ წარმოდგენის დროს ვხედავთ, როგორ შეუფრუებლად იქცევა მსუფრულები დიდი ნაწილი თვით ქალაქში. დაბა-სოფლებში რაც იქნება, ეს ძნელი წარმოსადგენი აზრისაა. — ბევრი ჩვენს დაბაშია შემოდებულად წელიწადში ერთხელ კვირულ ან ნახევარ თვით ბაზრობის (იარმუკობის) გამართვა. რომ ასეთი იარმუკობი აუარებელ ხალხს იზიდავს, ესმტ ცნობილი ამბავია. ბაზრობა ბევრ სოფელს სძენს ორიდგე გროში და ისიც ცდილობს რამე სიამოვნება ნახოს. თულის მახეები იქვე თასია და ისიც თავის აჩჩევის სშირად ცირკება გადაიტანს. იარმუკობი უცირკობ ან მოხდება: ცირკის პირველი ბაზარი ეს დროა. მართლაც ცირკებში ხალხის ტუვა არაა. მსუფრულები იცი-  
ნიან, ხარხარობენ, მახინჯ კლოუნების მანკვით აღტაცებაში მოდიან და „დრო გასატარებნი“ სახელში ბრუნდებიან. რომ კითხვით მეორე დღეს, სად იუაფიო, ამპარტავნად ეიპასუხებენ, — წუხელ წარმოდგენას დაესწარი, ბევრი ვის ამოვნი და შენც გირჩეე დაესწროფო. კლოუნების კამოსდე-  
ბს, რასკვირეფიო, თავიანთებურად გადმოცე-

ენ. ცირკის გვერდით თქვენ რომ დადგათ შე-  
სანიშნავა ზიესა, იქნება თქვენთან სოციეტო ინტელიგენციის მუტა სხვა არც კი მოვიდეს. ჩვენი თეატრის — უმთავრესად დაბა-სოფლების — უბედურება იმაშია, რომ წარმოდგენების პირველ მერცხალ-უორანად ჩვენში ცირკების „წარმოდგე-  
ო“ მოგვევლინა ბევრჯან.

როგორც შემოთავს ვსთქვი, პრავინციული მსხრუტების მიზანია თავისი ორიდგე გროში დროს გასატარებლად და სიამოვნების მოსაზო-  
გებლად გამოიყენოს მასასადეჟე, იგი ფაქრობს, როცა წარმოდგენაში მიდის, მხოლოდ დრო გაატაროს ასე ერთი კი ან იქცევა და ცდილო-  
ბს, ყველა სოფელი ამ აზრისაა. ამ პირველად ჩანკვილ აზრიდან წარმოიშვა მთელი შესწავ-  
ლება თეატრზე — თითქოს ის მხოლოდ დროს გასატარებლად იყოს „გამოკონილი“. სწორედ მასთვის მივაწერე ჩვენს თეატრს ორმაგა მო-  
ალება. მართლაც რომ დიდი ცდა დასჭირ-  
ება ჩვენს თეატრს, რომ პრავინციის მსუფრუ-  
ლების დიდმა ნაწილმა მაშა გამართულ წარმო-  
დგენებსა და ცირკის წარმოდგენებს შორის შე-  
საფერი სდგარი აღმართოს. ამისთვის კი ცდა  
საჭიროა.

ჩვენს მწერალ-რეჟისორს შალვა დადიანს ერთი შესანიშნავა ჩვეულება აქვს: როცა ის უფრო ზიესებს დგამს, მათ (ზიესების) ავტორს და ზიესის დედა-აზრს ანობს საზოგადოებას. რასთვის არის სწორედ შ. დადიანისთვის ხელ-  
მძვანელება საჭირო პრავინციის თეატრისთვის. მამ თეატრას მნიშვნელობაზე, დასადეჟე ზიესის დედა-აზრზე წარმოდგენების წინ ხშირად გა-  
მართავდენ საუბარს დამსწრეებთან, მაშინ მი-  
ზანს მალე მივადწევთ თუ რომ თკითონ ი ეა-  
ტრის ხელმძღვანელებს ან ესმით თეატრის და-  
ნიშნულება, როგორც ეს პრავინციებშია, სხვას  
რა უნდა აუხსნან?

მართალია, ამ ბოლო სანუბა მოგზაური დასები დიდ სამსახურს უწევენ პრავინციას ამ მხრით მაგრამ, მათი მოღვაწეობა სდგაში წვეთია.

გაზეთებში შესვლით რეცენზიებს, — ამ და ამ გიმნაზიელის რეჟისორობით და მონა-  
წილეობით დაიდგა ზიესაო. ჩვენის მოსწავლეების



მომზადებას სელოფენების ამ დარკში რომ ვი-  
ცნობთ, შათ დანადგამ წარმოდგენს სელოფენის  
აკ ღირს.

ერთის სიტყვით, რომ მსუფრებელიწურვით  
აკ შეუბრუნდეს სტენის წარმოდგენების დროს,  
საჭიროა წარმოდგენების გაშართვის წინადა, თუ  
უფროსის არა, ხშირად მაინც, დასადგამ მი-  
ესის მნიშვნელობა გაგანათ საზოგადოებას,  
თეატრის შესახებ ლექციები მოვასშენინთთ პრე-  
ფინციულებს და ქალაქელებსაც ჩვენი შინატი-  
ლიკენტო პირები, ხელის შეწყობის ნაცვლად,  
გულგრილადღვიდ ებიან ფართო მასის შეგნების  
საქმეს, შეორეს მხრით კი მახინჯ წარმოდგენებს  
მართავენ და შათ აძულევენ ხალხს წმინდა  
სელოფენასაც

არ. ფანცულაია



ბაძმონი წაღეს ქართული წარმოდგენების  
სეზონის შესახებ პესიმისტური აზრი ტრიალ-  
ბდა ქ. შ. წ. კ. გ. საზ-დრამატულმა კომი-  
ტეტმა თითქო ფარ-ხმლი დაქუარა. —ომინო-  
ბისკან შექმნილ პირბებში სისტემეტიური წარ-  
მოდგენების მართა მას თითქმის შეუძლებლად  
მიანდა —დაპირაკი მსოფლო დრო გამოშეებით  
წარმოდგენებზე იყო, რომელიც თვეში ერთჯერ  
ან ორჯერ გაიმართებოდა; საფალო იყო ეს  
გარეილება, რა წარმოდგენებს უკვე მოწურებულ  
ბაქთელ ქართულ ხალხს მშობლიურ სელოფენ-  
ბით დატკბობის საშუალება ესებოდა. მაგრამ  
ამ არა სასიამოვნო მოვლენას დროსე გაუწია  
ანტარში ბაქთელ ქართულ სამხ სალიტ. წრესთან  
არსებულმა სტენის მოყვარეთა ჯგუფმა —საქა-  
როდ გამოიწვია რევისორად ბ-ნი ფასო არაბიძე  
და ენკენისთვის 28 უკვე დაიწყო სეზონი. წრემ  
მიზნად დაინახა ქართლის წარმოდგენები უმთავ-  
რესად მუშათა უბნებში; რკინის გზის რაიონსა  
და ბალახანა-ბალახარაში —გამომიშევა შესაფერ-  
ის რეპერტუარი და შესავალი ფასიც უკვდას-  
თვის სელოფენად დაწესა. ამავე დროს ქ.  
შ. წ. კ. საზ. დრამატულ კომიტეტი დარწ-

მუნდა, რომ ყოვლად შეუძლებელია ბაქთელ სე-  
ზონობა, გამართა ფიტხელი შიწერ-მოწერა თბი-  
ლისში მსახიობებთან და უკვე გამოიწვია რევი-  
სორი შაღვა დადიანი, ქ-ნი ე. ანდრონიკაშვილი  
და შ. ხონელი. მაგრამ წლევიანჯელ სეზონის-  
თვის საში მსახიობი საკმარისად ვერ სტენს  
არაფითარ ხარჯს აღარ ერიდება და საში მსა-  
ხიობს კიდევ იწვევენ, —ასე რომ ბაქთელ სტე-  
ნისე წელს ექვსი პრეფინციონალური გვეუფლება.  
ამრიგად წელს ბაქთელს და შის რაიონებში ორი  
დასი იმუშეებს. ერთი ქალაქის საზოგადოები-  
სათვის, მეორე მუშათა უბნებისათვის —რაიც  
ფრად სასიხარულო მოვლენად უნდა წაითვა-  
ლოს ბაქთელ ქართულთა ცხოვრებაში.

სამხ-სალიტ. წრესთან არსებულმა სტენის  
მოყვარეთა ჯგუფმა ფასო არაბიძის რევისორ-  
ბით ორი წარმოდგენა უკვე გამართა ვაგზლის  
საკრებულთა დარბაზში და რევისორის სასახე-  
ლოდ უნდა ითქვას, რომ ბიესები „მეზობლები“  
ენკენ. 28 და „სოფლის გმირები“ ღვინობის-  
თვის 2 სავსო დამკაშეოფილებლად იქნა წა-  
რმოდგენილი; განსაკუთრებით მეორე წარმოდ-  
გენამ კარგად წაიარა.

აღსანიხნავია, რომ სტენის მოყვარეთა უმ-  
რავლესი ნაწილი სრულებით ნორჩი ძალებია,  
რომლებს გამოიმუშეებასა და სტენისთვის გამო-  
ყენებას, ეჭვს გარეშა, შესძლებს ბ-ნი რევი-  
სორი. რაიც აშეარად სწინდა უკვე დადგმულ  
წარმოდგენებში: —ემწნეოდა გამოცდილი სელო-  
ფანის სელმდგანელობა.

2 ღვინობისთვის წარმოდგენაში („სოფლის  
გმირები“) ნინეზულად შეასრულეს თავიანთი  
როლები ქ ნმა მ. კალანდძისამ (ანკო) და ფ.  
არაბიძემ (ხმირილონი) განსაკუთრებით შესამე  
შაქმედებაში. ბ-ნი ი. ბახუა (მელქენე) და  
ზაქარიაძე (ფინთახიძე) ტიპურები იყვნენ. ბ-ნი  
ინაურს (იჩხელი) ცოტა სიტყვსეუ აქლდა სსვა-  
ფრთვ კარგად ასრულებდა როლს. მასიური სტე-  
ნები მოსუსტებდა, განსაკუთრებით მეორე მო-  
ქმედებაში. კარგად იყო შეოთხე მოქმედებაში  
დადგმული სადგურა. დანარჩენ როლთა აღმას-  
რულებელნიც თავ-თავიანთ ადაკას იყვნენ, მსო-  
ლოდ ზოგეორონი როლის უტოლხინრობით საერ-  
თი ანსამბლს აფერსებდნენ. წარმოდგენამ საერ-  
თი შინაბეჭდილება კარგი დასტავა. მიუსხედავად







### წვრილი ამბები

◆ **ქართული დრამატიული ღსის სეზონის წარი ს. ჰანტურიშვილის „მორევი“** თ დარეკა. სეზონი განახლდა ჴუბინა და „მოხეტიალე“ მსახიობები მუშაობას აჩაღებენ. თბილისის ქართველ საზოგადოებას სურვილი აუსრულდა, თუ საქმემ სასურველად ხასიათი მიიღო.

მინცა და მინც დიდი სიცოცხლის ელფერა არ ედგა სეზონის დასაწყისს. სრულებითაც არა სჩანდა, რომ დღეს თეატრის ახალი წელია არა სჩანდა სიახლე, აღფრთოვანება—ხალისი და მკვდრული დუმილი დაპყრავდა პიესის მსვლელობას. რას წარმოადგენს „მორევი“?—ფრიალ საინტერესო თემას, მაგრამ სუსტად შესრულებულს ავტორის მიერ. შიგა და შიგ პიესას ამკობს იაფ-ფასიანი სურათები და ყალბი ეფექტები. ამსრულებელთ საკეთილდ თითქმის, პიესა სინდისიერად შესასრულებს განსაკუთრებით ბ. იზნენელმ, ქ-ნი დავითაშვილმა და ჯავახიშვილმა. დრამის შემდეგ მზიარულად ჩაიარა უმნიშვნელო ომედიათ, „გზულმა იგრძნა“. პირდაპირ სირცხვილია, რომ ამნაირ ბაზრულ და იაფ-ფასიან კომედებით გვმასპინძლებიან. აღბად მომავალში დასი უფრო მეტს უნარს გამოიჩინოს. ალა ნორიელი

◆ **სახალხო სახლში** სცენის მოყვარეთა წრემ წარმოადგინა ოსტროვსკის პიესა „შემოსავლიანი ადგილი“. პიესა ალაგ ალაგ მოსაწყენია. კარგათ შესასრულა ნ. გოციორძიმ აკიმ აკიმიჩის როლი: ნიჭიერად დაგვისურათა XIX-საუკ. ქვემძრომელა ჩინოვნიკი. კარგები იყვნენ აგრეთვე ბ-ონი ს. რომანიშვილი და მეტრეველი მოხდენილად ასრულებდა თავის როლს ქ-ნი ნ. ჯავახიშვილი. საერთოთ ყველა შემკლებისდაგვართ ხელს უწყობდა წარმოდგენის მთლიანობას. სახალხო სახლის წრე დიდ მუყათობას იჩენს და შემკლებისდაგვართ აკმაყოფილებს ამ უსეზონობის დროს თბილისის ქართველ ხალხის მოთხვილებას.

◆ **ქართველ ხელოვანთა საზ-ბას** თავდაანაურობამ წლიურად ასი თუმანი დაუნიშნა

◆ **მალკო გუშინ და დღეს**, წერილი ა-სა, გადაიდო.

◆ **დეკ. კორ კეკელიძე** მიიწვიეს თბ. სასულიერო სემინარიის რექტორად. მისი ვინაობა-მოღვაწეობის შესახებ წერილი შემდეგ დაიბეჭდება

◆ **დ. ცხინვალის დრამ. საზ. თავაჯ. მ. იონათაშვილი** ავადმყოფ ვ. გუნია უგზავნის თანაგრძნობის წერილსა და 20 მ. დახმარებას. ვ. შალიკაშვილს—81 მან.

◆ **ახალ კლუბში** ქართ. დრამ. დასმა ღვიწობისთვის 7 დღიწყო სეზონი „პარიზელი ბიჭი“-თ და „დათვი“-თ. წამოდგენამ უფერულად ჩაიარა, თუმცა იმავე ძალთ გაცილებით უკეთესად შეეძლოთ ხსენებულ პიესების წარმოდგენა.

◆ **მუთაისის ვიწნაზიანთან** არსებულ პარალელურ კლასების შესახებ გუბერნიის მრშალმა თავ. დ. ო. ნიჟარაძემ წინადადება შეიტანა, ხსენებულ კლასება გამოყოფილ იქმნესო და ცალკე ქართული საკომერციო სასწავლებელი დაარდესო. წინადადება დიდი ხნის უმეტესოთ მიიღეს.

◆ **ილ. ქარსული თელავში** ივლის სკრიპკაზე დასაკვრელად ღვინობისთვის 21—2ჭ.

◆ **მ. მუნი** ძალზე ფერმიხილია, უკეთაა და ლოგინში წამოჯდება ხოლმე კიდეც, მინც ხანგრძლივი მკურნალობა და ბინის გამოცემა ეჭირებდა. ექ. ივ. გომართელი კვლავინდებურად ყოველ-დღე დაიარება ავადმყოფთან და ბეჯითად ჰკურნავს. ნაცნობ—მეგობარნი და პატივის მცემელნი კვლავ მრავალად დაიარებიათ.

◆ **ისტ. თ. შორდანი** უკვე მომჯობინდა, ამ ზამთარს კასპში იცხოვრებს და იქვე განაგრძობს ვთაის საისტორიო შრომას.

◆ **„შეცხო სიტყვათა ლექსიკონი“** (იოსებ იმედაშვილისა) კარგა ხანია იბეჭდება („სორაპნის სტამბაში“) და ამ მოკლე ხანში დაურეგდება ხელის მომწერთ. ახალმა ხელის მომწერლებმა უნდა მიმართონ თბილისში „სორაპნის“ სტამბაში, ფოსტით: Тифлиси, Ред. „Театри да Цховреба“—Иос. Имедашвили აგენტებსა ვსთხოვთ შეკრებილი ფული დროით გამოგზავნონ ანუ ბარათების წიგნაკები დაგვიბრუნონ

### ახალი კლუბი 1 კვირის პროგნოზი

- 16-24 ღვინ.
- კვირა — რუსული წარმოდგენა. ბილეთები 0-30 კ.
- ორშაბათი — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-50 კ.
- სამშაბათი — სიმფონიური კონცერტი.
- ოთხშაბ. — სინემატოგრაფი.
- ხუთშაბ. — ქართ. წარმ. ბილეთები 50-30 კაპ.
- პარასკ. — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-30 კ-ღე.
- შაბ. — სიმფონიური ორკესტრი კონცერტი მ. ა. ვოლფი-იზრაელის ხელმძღვან.
- კვირა — რუსულ წარმო. ბილეთ. 5-30 კ.
- დასაწყისი: კონცერტებისა სალამ. 9 სიათ.. წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. 8 1/2 სა
- შესასვლელი ფასი მანდილოსნები 50-კ, მამაკაცი—1-მან.



რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა  
 Доволено Военной Цензурой სტამბა „სორაპანი“